

Colchis - Iberian Medicine or Cura Mediana Ramaz Shengelia

Tbilisi State Medical University, Head of Department for the History of Medicine and Bioethics, MD, PhD, ScD, Professor, Academician of National Academy of Sciences of Georgia

Abstract: This paper reviews the ancient traditions about Colchis. It considers the legends of the Argonauts and the Golden Fleece, of Medea and the plant lore which is well established in Georgia. Many remedies and poisons are native to the area. Hippocrates is said to have visited Colchis to study local healing traditions, describing the country, with its rich flora and fauna as well as its diseases. Thus, Medea can be considered a pioneer of cosmetics, haematology, surgery and toxicology leading the way for the development of modern medicine.

Introduction: From the middle of the third millennium B.C. in the Caucasus and northern Anatolia archeological studies confirm the impressive culture of Kura - Arras while, from the second millennium, and more locally, the brilliant Trialeti culture can be found. Around the same period, on the Anatolian Peninsula and to its north, historical sources mention the unions of Diaokhi/Diaoxi and Kolkh/Colchis. Taking into consideration cultural, religious, linguistic and other aspects these areas can be called Georgian or at least proto-Georgian countries. Indeed, all these form a single ethno-cultural area. When referring to Colchians and Iberians no fundamental difference between the two national names is implied and studies, both historical and modern, can often identify the national origins completely.

In his famous five-volume medical-historical work *Verfuch Einer Pragmatifchen Gefchichte der Arzneykunde* (1821), Kurt - Joachim Sprengel (1766-1833) described the traditions of different countries with descriptions of Colchic medicine followed by a review of Phoenician, Carthaginian, Egyptian, Babylonian, Indian and other medical traditions. Sprengel's contemporaries were not aware of the details and even the cultural artifacts of Mesopotamian culture. However, subsequent discoveries not only rejected Sprengel's approach but, on the background of serious analysis, expanded the area of Colchis - Iberian culture. Indeed, the existence of Kolkha in the XIV-XII centuries (B.C.) to the south and east line of the Black Sea, has been proved.

It seems that in the same period, the well-known Greek myth of the Argonauts indicated that the rich kingdom of Colchis was under the rule of King Aetes. He lived in the capital city, known as Aia and according to some information the country was also called Aia or Ea.

კოლხურ-იბერიული მედიცინა ანუ Cura Mediana რამაზ შენგელია

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინისა და ბიოეთიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი

გარკვეულ ისტორიულ, ლინგვისტურ, არქეოლოგიურ და სხვა არგუმენტაციაზე დაყრდნობით მეცნიერთა ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ პრეისტორიულ ხანაში მთელი არეალი შუამდინარეთიდან მოყოლებული, სამხრეთ ევროპის ჩათვლით მთლიანად, თვით ბრიტანეთის კუნძულებამდე ერთიანი რასით (გნებავთ, - მეგაეთნოსით) იყო დასახლებული. ყოველ შემთხვევაში, ამ აზრს გაცილებით მეტი მომხრე ჰყავს ახლო აღმოსავლეთსა და მცირე აზიასთან მიმართებაში.

უტყუარი ფაქტია, რომ ამ გეოგრაფიულ სივრცეში სემიტებისა და ინდოევროპელების გამოჩენამდე ცხოვრობდნენ ერთი წარმოშობის ტომები, რომელთაც საერთო უფრო მეტი ჰქონდათ, ვიდრე განმასხვავებელი. ისინი ერთ ფუძე ენაზე ლაპარაკობდნენ და ეს ენა საკმაოდ ჰგავდა თანამედროვე და ძველ ქართველურ (კავკასიურ) ენებს. მათთან (დავარქვით მათ პირობითად იბერიული მოდგმა) სემიტებისა და ინდოევროპელი ხალხების შერევით წარმოიშვნენ, როგორც ჩანს, ამ რეგიონებში მცხოვრები თანამედროვე ერები. ასე მაგალითად: შუმერებს სემიტი აქადელები და ამორელები შეერწყნენ, შედეგად ბაბილონური კულტურა მივიღეთ. ხათებს - ხეთები, პელაზგებსა და კოლხებს (შეიძლება მათ შორის იგივეობის ნიშანიც დავსვათ) - ელინები და ბრწყინვალე ბერძნულმა კულტურამაც იჩინა თავი, ეტრუსკებს - ლათინები, დასავლეთის იბერებს - კელტები, ფრანკები და ა.შ. ასე რომ, კოლხო-იბერების კულტურა შეიქნა იმ ცივილიზაციების საფუძველი, რითაც დღევანდელი ოიკუმენა ამაყობს: ბაბილონური, ასურული, ხეთური, ელინური, დასავლეთევროპული...

ქრ.შ. მდე III ათასწლეულის შუახანებიდან კავკასიასა და ჩრდილო ანატოლიაში არქეოლოგიურად დასტურდება მტკივარ-არაქსის შთამბეჭდავი კულტურა, ხოლო II

Aeetes had a fabulous treasure: the Golden Fleece, the golden wool of a flying ram, which was considered to be a symbol of divine wisdom. Some commentators believe that Aeetes had written a number of secrets or mysteries on ram's wool in the form of books where medical wisdom was also mentioned. It is difficult to separate allegory and real facts but the facts may be linked in some way to real events.

For example, the myth describes Copper-Hoofed-Bulls who shoot fire from their mouths. Jason, who was ordered to yoke the bulls, used his mastery in metal from Medea, where the wisdom of Colchis could be identified. Using the text of the myth as well as archaeological evidence it is clear that there was highly developed agriculture and cattle husbandry in Colchis.

Naturally, the problems of life and death would be an area of concern for people of such a culture, and this would be closely related to health, pathology and treatment. Many archaeological finds demonstrate that at that time, the art of treatment existed in Colchis, even having the image of a snake as its professional logo. Among these materials were personal hygiene items, kitchen utensils for different purposes and so on. According to the myth, the young and beautiful Medea, a daughter of the king of Colchis, was very wise and was closely associated with plant lore, the concoction of medicines and other medical activities. She knew various remedies both for internal and external use, including ointments and treatments for poisons, inducing sleep besides some magical and miraculous cures.

The text of the Argonauts story that she used to wander, at nights near the temple among the corpses and plants looking for treatments. These amazing medical miracles, attributed to Medea by Apollonius of Rhodes, author of the *Argonautica*, while allegorical are, undoubtedly, based on reality. Medea was skilled in the quick and effective treatment of wounds, "Medea healed (the Argonauts wounded in a battle with the Colchians) with special herbs and roots in a few days" (Diodorus Siculus). She was able to treat sterility as well. She told the king of Athens that his sterility would be at an end. "Still, you do not know by what chance you came to me. I know the medicine against sterility".

She was familiar with cosmetics as well. The discovery of hair colorings is attributed to her. As are the secrets of skin care. Medea "rubbed and healed her skin, irritated due to clogged tears, with the sweet nectar oil". In her medical practice the woman-healer practiced blood transfusion as well using lamb as a donor. This procedure was carried out on Pelias Jason's uncle.

ათასწლეულიდან, უფრო ლოკალურად - ბრწყინვალე თრიალეთური კულტურა. დაახლოებით ამავე პერიოდში, ანატოლიის ნახევარკუნძულზე და მის ჩრდილოეთით, ისტორიულ წყაროებში მოხსენიებულია სახელმწიფო გაერთიანებები - დიაოხი და კოლხა, რომელთაც თამამად შეიძლება კულტუროლოგიური, რელიგიური, ენობრივი და სხვა ასპექტების გათვალისწინებით ქართული ან სულ ცოტა პროტოქართული ქვეყნები ვუწოდოთ. ყველაფერი ზემოაღნიშნული ერთიან ეთნოკულტურულ არეალს ჰქმნიდა. როდესაც კოლხებსა და იბერებზე ვლაპარაკობთ, ანდა ამ ორ ტერმინს დეფისით გამოვყოფთ, სულაც არ იგულისხმება, რომ ამ ორ ეთნონიმს შორის რაიმე პრინციპული განსხვავება იყოს. ისტორიული წყაროები და თანამედროვე მეცნიერებიც ხშირად სრულიად აიგივებენ მათ.

კურტ-იოჰიმ შპრენგელი (1766-1833) თავის ცნობილ ხუთტომიან სამედიცინო-საისტორიო ნაშრომში "Verfuch Einer Pragmatifchen Gefchichte der Arzneykunde" (1821), ქრონოლოგიურად მიმოიხილავს სხვადასხვა ქვეყნისა და ეპოქის სამედიცინო ტრადიციებს. ის თბრობას კოლხური მედიცინით იწყებს და ფინიკიური, კართაგენული, ეგვიპტური, ბაბილონური, ინდური და ა.შ. მედიცინის განხილვით აგრძელებს. მართალია, შპრენგელის დროინდელი საისტორიო მეცნიერებისთვის ჯერ კიდევ ბევრი რამ უცნობი იყო, თუნდაც შუამდინარული კულტურის დამადასტურებელი არტეფაქტები, მაგრამ ამ ახალმა აღმოჩენებმა არათუ უარწყვეს შპრენგელისეული მიდგომა, არამედ სერიოზული ანალიზის საფუძველზე გააფართოვეს კოლხურ-იბერიული ეთნოკულტურის გავრცელების არეალი.

კოლხა შავი ზღვისპირეთის სამხრეთ და აღმოსავლეთ ზოლში ქრ.შ.-მდე XIV-XII საუკუნეებში დადასტურებულად არსებობდა. როგორც ჩანს, ამავე ხანებში, ელინურ სამყაროში იქმნება მეტად გავრცელებული მითი არგონავტების შესახებ, რომელიც მოგვითხრობს, რომ კოლხეთს - უმდიდრეს სამეფოს მეფე აიექტი მართავდა. იგი სატახტო ქალაქ აიაში ცხოვრობდა. ზოგი მონაცემით ქვეყანასაც აია, ეა ერქვა. აიექტს ზღაპრული საგანძური გააჩნდა. მის სიმდიდრეში

Academician I. Kasirski tells the story:

"Medea took her unsheathed knife and cut the old man's throat letting all of his blood out of him. She filled his ancient veins with a rich elixir. Received through his lips and wound, his beard and hair no longer white with age, turned quickly to their natural vigor, dark and lustrous; his wasted form renewed, appeared in all the vigor of bright youth".

There are many early documented literary and other references indicating that Colchis of those times was famous for the teaching about the poisons and toxic substances. Expeditions, aimed at study of traditional medicine in all regions of Georgia, have revealed that today in West Georgia, especially in the Samegrelo area, there are many experts, not to mention folk healers, who are acquainted with all aspects of poisons. The various effects of these poisons, sudden, long-term and disease-causing various are a form of secret knowledge which must be passed down from generation to generation.

Evidently, there is a basis of esoteric knowledge which is preserved in the population. In today's Colchis, ethnological material is of great interest. It was not without reason that Rudolf Steiner called Colchis the country of mysteries. Medea's aunt Hecate was also closely associated with plant lore and well-educated in the medical art. She was the sister of the King so we can understand the interest of the Kingdom of Colchis in medical knowledge and the priority given to it. This tradition has continued in later periods as well. In this regard, similarities can be found only in Chinese medicine.

Medea's lore is quite comprehensive (Dinos, 1st century B.C.):

"When Jason decides to marry the daughter of Glaucus Creon, indignant Medea sent them as wedding gift poisonous clothes, including his new wife died in terrible pain." "Medea sent to Lycomedes and his father Creon the clothes, saturated with invisible poisons, to kill them in terrible pain (rending their bodies)".

Medea possessed such skills, that in the literature, her poisons were mentioned with specific names, such as: "Medea", "One day", "Iris", "Colchis" and many others. However, her name is not associated only with poisons. In the Sophocles' drama, when Zeus, lost his spiritual and physical energies and was exhausted due to frequent earthly contacts Ganymede restored his powers with a divine drink, called "Medea".

განსაკუთრებით სახელგანთქმული ყოფილა ვერძის ოქროსმატყლიანი ტყავი - ოქროს საწმისი. მრავალი მეცნიერის აზრით, იგი კოლხეთში დაუნჯებული ღვთიური სიბრძნის სიმბოლოა, რომელთან ზიარების მიზნით გამოემგზავრა საბერძნეთის მთელი ელიტა და გმირთა კრებული. მხოლოდ ამ მიზნის შესრულების შემდგომ შეჰპირდა პელიასი თავის ძმიშვილს - იაზონს - ტახტის დათმობას. მხოლოდ ამ დავალების შესრულების შემდეგ მიაღწევდა ის აუცილებელ სრულყოფილებას. ასე სჯეროდათ ძველ ელადში. ზოგიერთი, უფრო მატერიალისტურად მოაზროვნე კომენტატორი თვლის, რომ აიეტს ცხვრის ტყავზე წიგნის სახით დაწერილი ჰქონდა მთელი რიგი საიდუმლოებებისა, სადაც სამედიცინო სიბრძნეს არცთუ ბოლო ადგილი ეჭირა. საერთოდ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, "არგონავტიკა" მითოსია და აქ მეტად ძნელია გამოარჩიო ალეგორიული, ქარაგმული და რეალური ფაქტი. რეალური ფაქტის ქვეშ კი შეიძლება ისტორიული მოვლენაც ვიგულისხმოთ და მწერლისეული ოდენ სიუჟეტური სვლაც. ასე მაგალითად, მითში ნახსენები "სპილენძის ჩლიქებიანი ხარები, რომელთაც სპილენძისავე პირიდან ცეცხლი ამოსდიოდათ", და რომელთა მოთვინიერებაც ევალებოდა იაზონს, სულ ცოტა, ამ უკანასკნელის მიერ სამჭედლო (მეტალურგიული) ხელოვნების დაუფლებაზე უნდა მეტყველებდეს. ეს ხელოვნება იაზონმა მანამდე არ იცის. იგი ლითონის დამუშავების ხელოვნებასაც მედეასგან სწავლობს. აქ მედეას სახეში ზოგადად კოლხური სიბრძნეა პერსონიფიცირებული. მოგვიანებით, მედეასეული სიბრძნის კოლხეთიდან ელადში "არასწორი ექსპორტის" შემდგომ, ეს ცოდნა მასპინძელ ქვეყანას ღვთიური სიბრძნის ემანაციად არ მოველინება: დაისჯება ყველა: მედეაც, იაზონიც და მათი სიყვარულის ნაყოფი - უმანკო შვილებიც. ანტიკური ავტორები და თანამედროვე მეცნიერები დღეს ხშირად საუბრობენ იმაზე, რომ მედეას საკუთარი შვილების მკვლელობა ამ საქმით დაინტერესებულმა კორინთოელებმა დააბრალებს. ალბათ, ეს ასეა და დატოვოთ ეს ამბავი იმდროინდელი პოლიტიკოსების სინდისზე. მაგრამ რად დასჭირდა ეს ევრიპიდეს? დიდ ტრაგიკოსს შესაძლოა ამისთვის პირადი და ტრაგედიის გამძაფრების ინტერესი ჰქონოდა, მაგრამ მე მაინც მგონია, რომ მან ყოვლად

Almost all of main plants of Hecate's (Medea) garden are well-known today, although some of the most important of them are still unknown. It is evident that Medea prepared the poisons by using the special processes of extraction, infusion/tincture, thermal, mechanical or chemical exposure, or concentration. The principle, according to which modern medicine is developing, is *Contraria Contrariis Curantur* (CCC), that contraries heal. This is the principle of allopathic medicine, as opposed to homeopathy. The stronger the therapeutic source the more effective the result. This thesis is based on two major ways of realization of the CCC principle - suppressing and compensating therapy, where getting an effect without a potent substance would not be possible.

This theory was not discovered before the era of Medea. In oriental medicine, allopathic medicine is not dominant. It rather originates from Greek - Roman medicine, whose roots lie in the common Mediterranean-Pelagic and Colchis - Iberian medicine. The *Argonautica* serves as the proof text for this. Medea is described as rubbing her face, irritated with tears, with healing ointment/balsam, filling the old man's body and veins with lamb's blood for rejuvenation, dyes gray hairs into black with herbs and so on. In Medea's family, a traditional medical practice was considered as the prerogative of women. Possessing healing art has been a priority for women both in Medea's times and throughout history.

Hecate's garden contained medicinal plants. As we have seen medical remedies were produced at the Royal Court of Aetes, but Medea's were especially famous. At first, the finding of healing properties in many new plants/herbs was followed by extracting the active ingredient from these herbs and the preparation of the concentrate for medicines, known in Georgian as 'the poison'. Perhaps, this is how the relationship between poison and medicine developed in the Georgian language. Thus, in the Georgian *Karabadians (Medical Handbook)* special chapters are devoted to the 'poisons' not for poisoning but for healing. Thus, for obtaining effective results according to the CCC theory, medicine dilution was necessary. As Paracelsus said "All medicines are poison and vice versa, the difference between a poison and a remedy is the dose". Medea was aware this knowledge, but "due to the inclination, she used them differently" indicating her understanding of match drug and patient.

ჩამოყალიბებული მითოსური ფორმულა გაამზადა მომავალი თაობებისთვის. დახელოვნებულმა ტრაგიკოსმა ალეგორიულად მიგვითითა, რომ იაზონისა და მედეას მხოლოდ ხორციელი სიყვარულით შეუღლება არ არის საკმარისი ისტორიის ჰარმონიული განვითარებისთვის და ამიტომაც მედეა ამ კავშირის შედეგად გაჩენილ შვილებს, ანუ პერსონიფიკაციას ერთობლივი ცოდნისმიერი ტრადიციის შექმნის შესაძლებლობისა, თავისი ხელითვე ჰკლავს. ამით თითქოს მითოგრაფოსი გვეუბნება, რომ სიბრძნესთან ზიარებას თავისი წესი და ინიციაციის გრძელი გზა აქვს და მის შემოკლებას მხოლოდ უარყოფითი შედეგი მოაქვს.

არგონავტების მითი ბერძნულ ლიტერატურაში "მცირე ილიადად" არის მონათლული, რადგან აქაც პროტოელინურ და ელინურ სამყაროთა დაპირისპირება, ძირითად ღირებულებებთან დამოკიდებულების ცვლა და მისი შედეგებია აღწერილი.

ლეგენდის ტექსტზე და არქეოლოგიურ ნივთმტკიცებებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ კოლხეთში მაღალგანვითარებული მიწათმოქმედება და მეცხოველეობა ყოფილა. ბუნებრივია, ასეთი მაღალი კულტურის ხალხისთვის სიკვდილისა და სიცოცხლის პრობლემები, ჯანმრთელობისა და პათოლოგიის საკითხები, მკურნალობის ხელოვნება ერთ-ერთი უპირველესი საზრუნავთაგანი იქნებოდა. მრავალი არქეოლოგიური მონაპოვარი ამტკიცებს, რომ მაშინ კოლხეთში სამკურნალო ხელოვნება თავისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, იარაღებით დამოუკიდებელ დარგად არსებობდა, თანაც, საგანგებო პროფესიული ემბლემით, – გველის გამოსახულებით. ამ მასალაში ცალკე აღნიშვნის ღირსია პირადი ჰიგიენის ნივთები, სხვადასხვა დანიშნულების ჭურჭელი და სხვა. მითითური სიუჟეტით, კოლხეთის მეფის ასული იყო სილამაზით განთქმული ყმაწვილქალი მედეა, სამედიცინო ცოდნასა და საქმიანობაში დიდად განსწავლული და ბრძენი. მისთვის ცნობილი იყო სამკურნალო საშუალებების სხვადასხვა ფორმა: შინაგანი და გარეგანი გამოყენების, შესასუნთქი და სხვ. მის სამკურნალო არსენალში მრავალგვარი მოქმედების წამლები იყო: სხვადასხვა დაავადებათა სამკურნალო, ძალისმომგვრელი, მომწამვლელი, ნელსაცხებელი, სასწაულებრივი, მაგიურიც.

Medea could draw the line of between the Dosa Letalis Minima and Dosa Therapeutica in the same substances. According to the legend Medea put the dragon to sleep with her “magic herbs”. This, certainly, is a myth, but definitely informative. Apparently, Medea knew about the existence of toxins and how to produce ‘magic treatments’, which induce “mental insanity” as well. According to Nicander, the Greek physician from Colophon, this therapy is a root or even a plant, to be prepared together with kerosene.

It would be nice to think that the word ‘medicine’ originates from Medea, in the way that hygiene derives from Hygeia and panacea from Panacea. However, it was the Romans, rather than the Greeks, who coined the term ‘medicine’. Medea is seen as an outsider among the Greeks and a rebel against her former husband Jason, her family and almost the whole of Greece.

Medea’s children were killed. She uses her knowledge only for revenge. Naturally, she would not share her special knowledge with anybody. Despite the high level of the Hellenistic healing art, the ancient processing of medical remedies is limited and primitive. Thus Medea’s medicine, the production of the poison (concentrate) and its further conversion into the active drug is poorly developed in Greece. Therefore, in the writings of Hippocrates, there is an emphasis on diet, lifestyle, seeking the right climatic conditions and recognizing constitutional types. It should also be noted that the theory of the humors is central to Hellenic Medical Art.

Pliny tells about Mithridates of Pontus (2nd century B.C.), who according to the reliable sources was the king of the Colchis – Iberian tribes:

“Mithridates had tried to make away with himself, and after first removing his wives and remaining children by poison, he had swallowed all that was left; yet neither by that means nor by the sword was he able to perish by his own hands.

For the poison, although deadly, did not prevail over him, since he had inured his constitution to it, taking precautionary antidotes in large doses every day; and the force of the sword blow was lessened on account of the weakness of his hand, caused by his age and present misfortunes, and as a result of taking the poison, whatever it was. When, therefore, he failed to take his life through his own efforts and seemed to linger beyond the proper time, those whom he had sent against his son fell upon him and hastened his end with their swords and spears”.

„არგონავტიკის” ტექსტში ნათქვამია: „იგი მიჩვეული იყო ღამღამობით ტაძრის მახლობლად გვამებისა და წამლისთვის გამოსადეგ მცენარეთა შორის ხეტილას”. ასე რომ, ის საოცრებანი, რომელსაც აპოლონიოს როდოსელი მედეას მიაწერს, ალევორიულად გარკვეული ინფორმაციის მატარებელია და უსათუოდ სინამდვილესაც ემყარება.

იმ სამკურნალო მანიპულაციებს შორის, რომლებშიც მედეა იყო განსწავლული, ერთ-ერთი ჭრილობათა სწრაფი და ეფექტური მკურნალობაა. კოლხებთან ბრძოლაში დაჭრილი არგონავტები “მედეამ სულ რამოდენიმე დღეში განკურნა ფესვებითა და რაღაც ბალახებით” (დიოდორ სიცილიელი).

მედეას უშვილობის მკურნალობაც სცოდნია. ათენის მეფეს - ეგეოსს, რომელიც “უძეობით ყოფილა დაავადებული”, მკურნალი ქალი ეუბნება: “შენ ჯერ არ იცი, რა ბედს ეწიე, რომ მოხველ ჩემთან. ვიცი წამალი უძეობისა”.

კოლხი ქალი კოსმეტოლოგიაშიც ფრიად განსწავლული გახლდათ. მას აკუთვნებენ თმის შეღებვის აღმოჩენის პირველობას. იგი ფლობდა აგრეთვე კანის მოვლის საიდუმლოებებსაც. მედეამ ცრემლებით გაღიზიანებული სახის კანი “ნექტარივით ტკბილი ზეთით დაიზილა და მოიშუშა”.

მკურნალი ქალი თავის სამედიცინო მოღვაწეობაში მიმართავდა სისხლის გადასხმასაც. დონორად ბატკანს იყენებდა. ამ მანიპულაციას მიმართა მან იაზონის ბიძის, პელიასის შემთხვევაში. აკად. ი.კასირსკი სისხლის გადასხმის ისტორიას მედეას მიერ ჩატარებული მანიპულაციით იწყებს.

არსებობს მრავალი ლიტერატურული და სხვა მონაცემი იმის შესახებ, რომ მაშინდელი კოლხეთი განთქმული იყო შხამებისა და საწამლაგების შესახებ მოძღვრებით. საქართველოს ყველა კუთხეში ხალხური მედიცინის შესწავლის მიზნით ჩატარებული ექსპედიციების დროს გაირკვა, რომ დასავლეთ საქართველოში (განსაკუთრებით, სამეგრელოში) დღეს ძალზე ბევრია შხამების დამზადების მცოდნე, რომ არაფერი ვთქვათ სახალხო მკურნალებზე. ეს შხამები მრავალგვარი მოქმედებისაა - უცაბედი, ხანგრძლივი მოქმედების, სხვადასხვა დაავადების გამოიწვევი და სხვა, რის ცოდნა უაღრესად გასაიდუმლოებულია და შთამომავლობით გადაეცემა. თანაც, მხოლოდ

The need for improved processing of natural resources (vegetable/plant, animal, mineral) may owe much to Mithradates VI. He had a long-term relationship of enmity and confrontation with Rome. Finally, Pompey defeated Mithradates, entering the Palace and removing to Rome his library, where many medical folios/volumes were stored. The authorship of most of these books is attributed to Mithradates himself and his "Mithridatium", was recognized as a panacea and an antidote, all over the world.

According to Kurt Joachim Sprengel, "Treatment by Medea" was known as "Cura Mediana" and served as an origin of modern medicine. Dioscorides (c. 40-90 A.D.) of Anazarba, today in southern Turkey, where at that time there were living only Iberian and Hellenic tribes, wrote his *Materia Medica* which contains hundreds of plant, animal and mineral therapies. This work is often considered to be the first steps in the development of pharmacy.

Watson noted that Mediterranean world and surrounding area became a single cultural-political unit under the Roman Empire, where the culture was Greek, or rather, Hellenic but the political unity was based on military power of the Romans. In the Roman Empire of that time, Asia Minor occupied an important place, where the Georgian and Armenian population had a significant share. The Greek language held a dominant position but works in other languages were translated into Greek and spread round the civilized world. Georgian cultural centers were established outside of Georgia, such as the Iberian monastery on Mount Athos, the Georgian presence in Jerusalem and the Petritsoni Monastery in Bulgaria. Many authors could be found in Asia Minor, for example, Asclepiades from Bithynia, Heras from Cappadocia and Galen from Pergamum. Georgian tribes were settled in these provinces, especially in Cappadocia and Galen had a direct connection to this world. In addition, Galen described the differing viewpoints of the various authors in connection with the definitions of the antidote, theriac, considering what are the antidotes and range of poisons whose effects must be counteracted. This argument indicates that, according to the notion of active substance and concentration, Toxicology and Pharmacy were formed in the Roman Empire at the beginning of our era and is associated with the King of Pontus, and descendant of Colchis Mithradates VI Eupator. The authors describe not the just plant, animal or mineral, but the product drug and its characteristics.

Colchis and Medicine in Literature

In the twelve centuries between the times of Medea and Mithradates we might expect to find much information in literary sources related to Georgia (Colchis and - later - Iberia). This is especially observed during the Greek classical period when Hellenistic culture becomes predominantly literate.

ქალური ხაზით, რაც უჩვეულოა საერთოდ ეთნოკულტურული ტრადიციებისთვის. ჩანს, ეს ხალხში შემონახული ეზოთერული ცოდნის დაუნჯებისა და გადაცემის მეტად ძველი მექანიზმია, რომელსაც მედეასთან, ჰეკატესთან და საერთოდ, ღვთიური ცოდნის ფემინიზაციის ტრადიციასთან მივყავართ (სოფია, ღვთისმშობელი, სულიწმინდა). საერთოდ, დღევანდელ კოლხეთში, ამ ასპექტით, ძალზე საინტერესოა ეთნოლოგიური მასალა, რომელსაც ქართველი მეცნიერები ათწლეულების მანძილზე აგროვებდნენ. ტყუილად არ უწოდებდა რუდოლფ შტაინერი კოლხეთს მისტერიების ქვეყანას.

მედეას მამიდა ჰეკატე ფრიად განსწავლული იყო საექიმო ხელოვნებაში. იგი მეფის დაა და აქ ადვილი შესამჩნევია საექიმო ცოდნით კოლხეთის სამეფო კარის დაინტერესება, უფრო მეტიც, _ პრეროგატივა ამ საქმიანობაში. ეს ტრადიცია შემდგომ ეპოქებშიც გრძელდება. ამ მხრივ, ანალოგი მხოლოდ ჩინურ მედიცინაში მოიპოვება.

დიონისიოს სკიტობრაქიონი (ქრ.შ.-მდე წ. II-III ს.)

წერს, რომ ჰეკატემ "პირველმა აღმოაჩინა მომაკვდინებელი ფესვები". "კირკემ, რომელიც მედეაზე უფროსი იყო, ბევრად აჯობა თავის მამიდას. ბევრი რამ მისგან შეითვისა, ზოგი რამ კი მრავალი და საზარელი (შხამი.-ავტ.) თვითონ აღმოაჩინა". მედეას ცოდნა უფრო სრულყოფილია. კორინთოში მცხოვრებმა მედეამ ქალაქის მაშინდელი გამგებელი კრეონტი საწამლავით მოკლა (დინოსი ქრ.შ.-მდე I ს.): "ლაკეას და მის მამას, კრეონტს ისეთი საწამლავისაგან გაჟღენთილი სამოსელი გაუზავნა, რომ იმ უხილავი საწამლავისაგან შემოფლეთოდა ხორცები ტანზე". მედეას იმდენად დახვეწილი აქვს ტექნოლოგია ამ საქმისა, რომ ლიტერატურაში მის შხამებს კონკრეტული სახელწოდებებით იხსენიებენ: "მედეასი", "ერთდლიანი", "ირისი", "კოლხური" და სხვა. თუმცა, აიეტის ქალიშვილის სახელი მარტო შხამებს არ უკავშირდება. სოფოკლეს დრამის მიხედვით ზევსი ხშირი მიწიერი კავშირების გამო სულიერი და ფიზიკური ენერჯისაგან იცლება, იფიტება. განიმედე მას სასიცოცხლო ძალას ღვთაებრივი სასმელით აღუდგენს, რომელსაც "მედეა" ეწოდება.

In his *Anabasis* Xenophon (431-354), Greek Commander-in-Chief and historian, wrote about Georgian medicine and the country's life in general. He saw that a local people, the Mossynoikoi, stored dolphin meat and oil in drums. Strabo confirmed this observation noting that they used fish oil for various purposes. Thus, it may be assumed that the history of using fish oil as a food and material with unique healing properties, originated in Colchis.

The Roman author Claudius (c. 395 B.C.) wrote about the natural resources of the Caucasus in the following way:

"I am well aware of juices of various plants and the actions of those death plants that grow in the Caucasus, known for its abundant poisonous plants".

This interesting information is provided from the Pseudo-Plutarch¹ writings about the medicinal plant called "Poplar" which is "collected early in spring when the Hecate mystery is celebrated" thus providing a link with healing and health care. Dioscorides, the famous Greek physician (1st century B.C.), in his work *Materia Medica*, offers the following passage relating to medicinal plants: "One is of strong sweet smell, which grows in Colchis, but the second one, called wild garlic by some, is called 'Colchici' ". In his work *Naturalis Historia* Pliny (29-79 A.D.) wrote that the best root of the iris grows in Colchis. He related the story about snakes that eat fennel seeds to restore and sharpen their vision, after they shed their skins. It was concluded that fennel improved eyesight and the best treatment was prepared in Iberia. Greek authors also describe the 'Prometheus Herb', known in Georgian folklore as *Amaranbalakha*, which mythology says came from the blood of Prometheus. It grows only in the Caucasus and is famous for its therapeutic value.

Hippocrates seems to have visited Colchis himself to study local conditions and its healing traditions. He described the country, its rich flora and fauna as well as the appearance of the local population, and its diseases.

Thus, Medea can be considered a pioneer of cosmetics, haematology, surgery and toxicology leading the way for the development of modern medicine.

ჰეკატეს (მედეას) ბალის ძირითადი ბინადარი მცენარეები დღეს თითქმის ყველა ცნობილია (თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ სწორედ უმთავრესი მათგანი არ ვიცოდეთ). ასეა თუ ისე, არც იმ ბაღში და არც კავკასიაში მზარდი არც ერთი მცენარის ფესვი არ არის ისეთი მძლავრი შხამი, რასაც არგონავტიკის სხვადასხვა ვერსიები აღწერს. ერთი რამ ცხადია და უკამათო: მედეა სამკურნალო მცენარეების სპეციალური დამუშავებით - გამოხარშვით, ნაყენით, თერმული, მექანიკური თუ ქიმიური ზემოქმედებით, ანუ აქტიური ნივთიერების კონცენტრირებით იღებს შხამს, საწამლავს. პრინციპი, რომლის მიხედვითაც დღევანდელი მედიცინა არსებობს და ვითარდება, გახლავთ **contraria contrariis curantur (ccc)**, ანუ საწინააღმდეგოზე საწინააღმდეგოთი მოქმედების, ანუ ალოპათიური პრინციპი. პრიორიტეტი ამჟამადაც ცცც-ს ეკუთვნის. ეს არის მიმართულება, რომელსაც მსოფლიოს თანამედროვე მედიცინა და ფარმაცია ადგას დღეს. ამ პრინციპის ეფექტური რეალიზაციის გზა ძლიერმოქმედი ქიმიური საწყისია. რაც უფრო ძლიერია საწყისი, მით უფრო ეფექტურია შედეგი. ეს თეზა ემყარება ცცც-ის პრინციპის რეალიზაციის ორ ძირითად გზას -- სუპრესიულ და მაკომპენსირებელ თერაპიას, სადაც ზემოქმედების განხორციელება ძლიერმოქმედი სუბსტანციის გარეშე შეუძლებელია.

აღსანიშნავია, რომ ეს მიმართულება მედეას ეპოქამდე არც ერთი ქვეყნის მედიცინაში სისტემად არ ჩამოყალიბებულა. აღმოსავლურ მედიცინაში ცცც-ის პრინციპი არ არის გამოკვეთილი, როგორც დომინანტი. იგი საწყისს იღებს ბერძნულ-რომაული მედიცინიდან. ამ უკანასკნელის ფესვები კი საერთო მედიტერანულ - პელაზგურ და კოლხურ-იბერიულ მედიცინაში დევს. ამის დასტურია როდოსელის "არგონავტიკა".

ეს იდეა უთუოდ მედეას ეპოქაში იწყება. მკურნალი ქალი ცრემლებით გაღიზიანებულ სახეს მოსაშუშებელი მალამოთი იზილავს, მოხუც ორგანიზმში, მისი გაახალგაზრდავების მიზნით, ბატკნის სისხლი შეჰყავს, თეთრ თმებს რომელიღაც მცენარით შავად ღებავს და ა. შ.

Further Reading

1. Apollonius of Rhodes. Argonautica. 1978. Tbilisi.
2. Conrad L. U., Neve M., Nutton V., Porter R., Wear A., 1995. The Western Medical Tradition. Cambridge University Press.
3. Gozalishvili G. 1962. Mithridates of Pontus. Tbilisi.
4. Guthrie D. 1946. The History of Medicine. Thomas Nelson and Sons Ltd.
5. Japaridze N. 1981. Gold-smith craft in Bronze Age Georgia. Tbilisi.
6. Javakhishvili I., History of the Georgian Nation, 2 vols. 1960-66, Tbilisi.
7. Kaukhchishvili S. (Editor) Georgica. 1934-1970. Greek Authors about Georgia, Vols. I-VI vol. Tbilisi.
8. Lordkipanidze O. 1986. Argonautica and Ancient Colchis. Tbilisi.
9. Shengelia M. 1978. History of Georgian Medicine. Tbilisi.
10. Shengelia R. 2012. History and General Theory of Medicine. Tbilisi.
11. Sprengel K. Versuch einer pragmatischen Geschichte der Arzheikunde, Halle, Gebauer, 1792-1803.
12. Watson G. Theriac and Mithridatum. A Study in Therapeutics. London. Wellcome Historical Medical Library. 1966.

საექიმო საქმიანობა მედეას ოჯახში ტრადიციულია. საექიმო ხელოვნების ფლობა ქალთა პრიორიტეტია. ჰეკატეს ბაღში ხარობს სამკურნალო მცენარეები. მათი გამოყენებით აიეტის კარზე სამკურნალო საშუალებები მზადდება, მაგრამ მედეა განსაკუთრებით სახელგანთქმულია. ჯერ ერთი, იგი ბევრ ახალ მცენარეში პოულობს სამკურნალო თვისებებს, ხოლო შემდგომ, მათგან აქტიური საწყისის გამოყოფით, ამზადებს წამლის შესაქმნელ კონცენტრატს - საწამლავს. ალბათ, აქედანაა ქართულ ენაში დაფიქსირებული ეს კავშირი: საწამლავი -წამალი.

შემდგომი პერიოდის ქართული სამყაროსათვის, საერთოდ, ერთობ ტრადიციული ხდება საწამლავთქმნადობა.

ქართულ კარაბადინებში საწამლავებისადმი მიძღვნილი სპეციალური თავებია შექმნილი არა კაცის მოსაწამლად, არამედ საწამლებლად (ვუწამლე, ვუმკურნალე).

საწინააღმდეგოზე საწინააღმდეგოთი ეფექტური მოქმედებისათვის საჭირო იყო წამლები. წამალი კი საწამლავის განზავებით მზადდებოდა. ეს გახდა ბაზისი ალოპათიური სამედიცინო-სააზროვნო სისტემისა. ჰეკატე და ცირცეა კარგად არიან განსწავლულნი ამ საქმიანობაში. მათ მედეაც აზიარეს ამ ცოდნას, მაგრამ იგი “თავისი მიდრეკილების გამო, სულ სხვაგვარად იყენებდა”. საფიქრებელია, რომ ამ სიტყვების უკან იმალება წამალთტექნოლოგიის ძირითადი არსის დაბადება. მამიდის და დის გამოცდილებაზე დაყრდნობით მედეა, ალბათ, იღებდა რა აქტიური საწყისის კონცენტრატს მცენარიდან, აზავებდა მას იმ დოზით, რომ ეს უკანასკნელი არა საწამლავად, არამედ წამლად გამოიყენებოდა. მისთვის, უთუოდ, იმთავითვე ცნობილი იყო პრინციპი: “წამალი შხამია, შხამი წამალია. განსხვავება მხოლოდ დოზებშია”, რომელსაც პარაცელსმა 27 საუკუნის შემდეგ თავისით მიაგნო და ისტორიის ნაწილი გახდა. იმისათვის, რომ მედეას საწამლავი საჭირო დოზით შეეტანა წამალში, მას უნდა სცოდნოდა ოპტიმალური დოზა ავადმყოფობის კერძო შემთხვევისათვის, რომ ავადმყოფი კი არ მოეკვდინებინა, არამედ განეკურნა. უკეთ რომ ითქვას, მედეამ შეძლო სადემარკაციო ხაზის გავლება ერთი და იგივე ნივთიერების **Dosa letalis minima**-ს და **Dosa therapeutica**-ს შორის.

ლეგენდა მოგვითხრობს, თუ როგორ მიაძინა გველეშაპი მედეამ “ჯადოსნური სითხით”. ეს, რა თქმა უნდა, მითოსია, მაგრამ გარკვეულწილად ინფორმაციული. როგორც ჩანს, მედეასათვის უკვე ცნობილი იყო “გონების აღმრევ” შხამთა არსებობა. ასევე მითოსიდან ვიცით მედეას “ჯადოსნური საწამლავის” სავარაუდო ტექნოლოგია. ნიკანდრე კოლოფონელის აზრით, ეს არის ერთ-ერთი მცენარის ფესვი, ან თვით მცენარე, რომელიც, უთუოდ, ნავთთან ერთად მზადდებოდა. აქვეა მოხსენიებული მედეა, როგორც წამლების, საწამლავების და შხამების აღმომჩენი. თეზას, რომ სიტყვა მედიცინა მედეადან წარმოდგა (ისევე, როგორც ჰიგიენა - ჰიგიადან, პანაცეა - პანაცეადან და ა. შ.), სერიოზულ ოპონენციას უწევს ის ფაქტი, რომ თვით ბერძნები სიტყვა “მედიცინას”, საერთოდ, არ ხმარობენ. მრავალი საუკუნე დასჭირდა, ვიდრე რომაელები ამ ტერმინს დაამკვიდრებდნენ. რად მოხდა ასე?

მედეა უცხოტომელია ბერძენთა შორის. მისი ტრაგედიაც ამაში მდგომარეობს. იგი უპირისპირდება თავის ყოფილ ქმარს იაზონს, მის საპატარძლოს, ნათესავებს, თითქმის მთლიანად საბერძნეთს. მას დაუხოცეს შვილები. თავის ცოდნას მედეა შურისძიებისთვისდა იყენებს. ბუნებრივია, იგი ამ ცოდნას აღარავის გაუყოფს, არავის ასწავლის იმას, რითაც ის ძლიერია. აღარც ბერძნები არიან მედეათი მოხიბლული და არავითარი სურვილი არ აქვთ მისი სახელის საკუთარ წიაღში უკვდავყოფისა, როგორც ორგანული და განუყოფელი ნაწილისა.

მიუხედავად ელინური სამკურნალო ხელოვნების უაღრესად მაღალი დონისა, სამკურნალო მცენარეების ტექნოლოგიური გადამუშავება მეტად შეზღუდულია: ხდება იშვიათად და პრიმიტიული ფორმით. ამდენად, “მედიცინა” მედეასეული გაგებით - შხამის დამზადებისა და მისი შემდგომი წამლად გარდაქმნა - საბერძნეთში სუსტადაა განვითარებული. შხამის დამზადება ელინებმა მეტნაკლებად იციან, მაგრამ მისი წამლად ქცევა, არა. ამიტომაც ჰიპოკრატეს კორპუსში აქცენტი გაკეთებულია დიეტაზე, ცხოვრების წესსა და რეჟიმზე, კლიმატურ პირობებზე, კონსტიტუციურ ტიპებზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჰუმორული პათოლოგიის თეორია ბაზისია პრინციპისა ccc.

აქედან გამომდინარე ელინურ სამედიცინო ხელოვნებაში აღნიშნული სააზროვნო სისტემა – ccc - ფუნდამენტურია, ოღონდ მისი რეალიზაციის გზა განსხვავებული. ნიშანდობლივია, რომ სოკრატეს მოწამვლისას იყენებენ არა რაღაც სპეციალურად დამზადებულ ძლიერმოქმედ შხამს, კონცენტრატს, არამედ ჩვეულებრივ მცენარეს _ შხამიან მათოთს (Gonium maculatum).

მითრიდატე პონტოელზე (ძვ. წ. II-I სს.), რომელიც სარწმუნო მონაცემებით კოლხურ შტოს ეკუთვნოდა (ყოველ შემთხვევაში, ის კოლხურ-იბერიულ ტომებზე მეფობდა), პლინიუსი მოგვითხრობს: “მან შემოიღო ყოველდღე მომწავლავი საშუალების სმა, იღებდა რა წინასწარ შხამის საწინააღმდეგო წამალს. ამის გამო მან ვერ შესძლო საწამლავის მომაკვდინებელი დოზის მიღებით თავის მოკვლა და იძულებული გახდა თავისი მსახურებისთვის ლახვრის ჩაცემა ებრძანებინა”.

რომაული კულტურა, რომელიც ელინური ცივილიზაციის მხრებზე ამოიზარდა, სამკურნალო ხელოვნებაშიც ახალ გზებს ეძებს, ცდილობს ფუნდამენტური პრინციპის- ccc -ის უფრო ეფექტიანად რეალიზებას. ახალი გზითა და ახალი ძალით შემოდის ბუნებრივი რესურსების (მცენარეული, ცხოველური, მინერალური) ტექნოლოგიური დამუშავების აუცილებლობა. მაგრამ, საიდან? მითრიდატე VI ევპატორის მეცადინეობით ხომ არა? მას რომთან დიდი ხნის ურთიერთობა _ დაუძინებელი მტრობა, ქიშპობა და, ამდენად, მჭიდრო შეხება ჰქონდა. ცნობილია, რომ პომპეუსმა, როგორც იქნა, ღალატით დაამარცხა მითრიდატე, მის სახლში შესვლისთანავე ბიბლიოთეკა მოიკითხა, სადაც უამრავი სამედიცინო ხასიათის ფოლიანტი ინახებოდა. იმპერატორის ბრძანებით აღნიშნული ლიტერატურა გაზიდეს რომში და სრულიად საიდუმლოდ იქნა შესწავლილი. ამ წიგნთა უმეტესობის ავტორი თვით მითრიდატე იყო. სრულიად უეჭველია, რომ ამის შემდგომ მთელ მსოფლიოში თითქმის ორი ათასი წლის მანძილზე გავრცელებული ანტიდოტის და თითქმის პანაცეად აღიარებული “მითრიდატუმის” რეცეპტიც მაშინ იქნა ამოკითხული.

ევროპაში შემოდის საწამლავის ცნება. კეთილშობილთა და ტახტის მაძიებელთა “შეიარაღებაში” უმთავრეს ადგილს სამსალა იკავებს, მაგრამ ამავე დროს სწორედ ეს შხამები ხდება საფუძველი მსოფლიო ფარმაციის განვითარებისა. რომში ჩნდება ტერმინი “მედიცინა”. მედეა მათთვის უკვე ისტორიაა, მომხიბვლელი მითია და ღმერთქალი. ასე რომ, იკვრება ლოგიკური რკალი ინფორმაციის გავრცელება-გაბატონებისა: მედეადან - მითრიდატემდე.

რომაული საექიმო ხელოვნების გვირგვინი – გალენოსი (129-201 წწ.) ამკვიდრებს სამედიცინო ფორმებს - ნახარში, ნაყენი, გამონაწვლილი და სხვ. მათ დღესაც “გალენურ პრეპარატებს” უწოდებენ და ბუნებრივი რესურსების წამლად ქცევას – აქტიური საწყისის გამოყოფას, კონცენტრირებას – წარმოადგენს. როგორც ჩანს, ამას უწოდებდა კურტიოაჰიმ შპრენგელი **Cura Mediana**-ს, “მედეასებურ მკურნალობას” და აქედან აძლევდა დასაბამს ტერმინს “მედიცინას”, მთლიანად თანამედროვე სამედიცინო ხელოვნებას. გალენოსამდე ანაზარბუსელი **პედანიუს დიოსკურიდი** (I ს.) (ანაზარბუსი დღევანდელი სამხრეთ თურქეთია, ანატოლიის ნახევარკუნძული, სადაც იმ პერიოდში მხოლოდ იბერიული და ელინური ტომები სახლობდნენ) წერს შრომას “**Materia Medica**”. მასში 850 მცენარეული, ცხოველური და მინერალური ბუნებრივი რესურსია მოყვანილი. თვით სათაური შრომისა მიგვითითებს, რომ ლაპარაკია **Medica**-ს მასალაზე, პირველსაწყისზე. ე. ი. ჩვენ, დღევანდელი გაგებით, ფარმაციის პირველი ნაბიჯების წინაშე ვდგავართ.

მოგვიანებით არაბები ამ იდეას თვისობრივად ახალ სიმაღლეზე აიყვანენ.

G. Watson სამართლიანად აღნიშნავს, რომ რომაული იმპერიის ქვეშ მთელი მედიტერანული სამყარო და მიმდებარე სივრცე ერთიან პოლიტიკურ-კულტურულ ერთეულად იქცა, სადაც კულტურა ბერძნული, უფრო სწორად, ელინისტური იყო, ხოლო პოლიტიკური ერთიანობა ლათინების სამხედრო ძლიერებას ემყარებოდა. ასე განსაჯეთ, რომის იმპერიაში - მას A.Toynbee-ის სიტყვები მოჰყავს - ლათინური და ბერძნული თანაბრად ისმოდაო.

ერთი რამ არის აღსანიშნავი: იმდროინდელ რომის იმპერიაში დიდი ადგილი ეკავა მცირე აზიას, სადაც ბერძნულ მოსახლეობაზე არანაკლები წილი ქართულ და სომხურ ეთნოსსაც ეკავა. ის, რომ ბერძნულ ენას გაბატონებული მდგომარეობა ეჭირა, გასაკვირი არ არის - ის წინა იმპერიის ენა გახლდათ. სხვა ენებზე შექმნილი ნაწარმოებები აუცილებლად ითარგმნებოდა ბერძნულად და ისე მიეწოდებოდა ცივილიზებულ სამყაროს. ამისათვის მუშაობდნენ საქართველოს გარეთ არსებული ქართული კულტურის ცენტრები (ათონის ივერთა მონასტერი, იერუსალიმის ქართული სავანეები, პეტრიწონის მონასტერი, სინასა და შავი მთის ქართული ცენტრები).

G. Watson ასევე აღნიშნავს, რომ გალენოსის მიერ დასახელებული ავტორების ვინაობის გარკვევა და ქრონოლოგიის დადგენა ძნელდება. ის კი უდავოა, რომ უმრავლესი მათგანი საკუთრივ საბერძნეთიდან კი არა, უფრო ხშირად მცირე აზიიდანაა. მაგ., ასკლეპიადი - ბითონიიდან, ჰერასი - კაპადოკიიდან, თვით გალენოსი - პერგამონიდან და ა. შ. ამ პროვინციებში, განსაკუთრებით კაპადოკიაში, კომპაქტურად სახლობდნენ ქართველური ტომები და მართლაც მითრიდატეს ფაქტორიც რომ არა, გალენოსს ამ სამყაროსთან პირდაპირი კავშირი ჰქონდა.

გარდა ამისა, გალენოსი გადმოგვცემს იმ კამათსა და წინააღმდეგობებს სხვადასხვა ავტორს შორის, რაც ანტიდოტის, თერიაკის და სხვა განსაზღვრებებმა გამოიწვია. რას უნდა ეწოდოს ანტიდოტი? ყველა იმ საშუალებას, რომელიც მიმართულია ყველანაირი ნაკბენის და უბრალო კვებითი მოწამვლის დროს, თუ მხოლოდ ერთ-ერთ მათგანს, კერძოდ, შხამიან ცხოველთა ნაკბენის საწინააღმდეგოს?

ფაქტია, ეს კამათი მიუთითებს იმაზე, რომ ტოქსიკოლოგია და ფარმაცია, აქტიური საწყისის გამოყოფისა და კონცენტრირების გაგებით, რომის იმპერიაში ჩვენი ერის დასაწყისში ყალიბდება და იგი უკავშირდება კოლხური მოდგმის პონტოს მეფეს – მითრიდატე VI ევპატორს.

სწორედ რომაულ პერიოდში ჩნდება წამლის, როგორც ასეთის, ცნება. ავტორები აღწერენ უკვე არა თვით მცენარის, ცხოველური თუ მინერალური რესურსების, არამედ პროდუქტის – წამლის – თვისებებს.

ამრიგად, მედია გვევლინება არა მარტო კოსმეტიკის, ჰემატოლოგიის, ქირურგიის, ტოქსიკოლოგიის და სხვა დარგების სავარაუდო პირველმცოდნედ, არამედ თანამედროვე მედიცინის ძირითადი პრინციპის ეფექტური რეალიზაციის გზის ფუძემდებლად და სახელის _ მედიცინის ფუძის დონორადაც. შემდეგ მოიპოვა ამ ტერმინმა უფრო ფართო განზოგადება და საერთოდ, იგი საექიმო ხელოვნების სინონიმად იქცა.

მედეას შემდგომ. მედეასა და მიდრიდატეს შორის თითქმის თორმეტი საუკუნეა და ბუნებრივია, ეს პერიოდიც გარკვეული ინფორმაციით უნდა იყოს დატვირთული. როგორც ჩანს, მსოფლიოში (ოიკუმენაში) მიმდინარე პროცესები არც საქართველოს უვლიდა გვერდს და ბევრი პარალელური პროცესის გამოკვლევა შეიძლება. კავშირი არასოდეს გაწყვეტილა. როდესაც პელასგურ-ელინური ჰიბრიდული ცივილიზაცია აღმასვლას იწყებს, ე.წ. `ბნელი პეიოდის` (XII-VIII სს) შემდგომ, ბერძნულ საისტორიო და სხვა სახის ლიტერატურაში იწყებს გამოჩენას ცნობები საქართველოს (კოლხეთსა და მოგვიანებით - იბერიის) შესახებ. ტომებსა და მათი განსახლების არეებზე მოგვითხრობს ჰომეროსი, მაგრამ ინტენსიურად ქართული სამყაროს შესახებ კლასიკურ პერიოდში (VII-IV სს.) იწერება, ე.ი. იმ დროიდან, როდესაც თვითონ ელინური კულტურა ხდება უპირატესად წიგნიერი.

ქართულ მედიცინაზე და საერთოდ, ქართულ ყოფაზე წერს ბერძენი მთავარსარდალი და ისტორიკოსი ქსენოფონტე (431-354წწ.) თავის `ანაბაზისში`. ის კოლხების ლამაზ ჩაცმულობასა და თავგანწირვაზე მოგვითხრობს, შემდგომ მათ ყოფაზე და ყურადღებას ამახვილებს, როგორც ჩანს, მისთვის უცნობ და უჩვეულო მომენტებზე. კერძოდ, ბერძნებმა ნახეს, რომ მოსინიკები კასრებში ინახავდნენ დელფინის ხორცსა და ქონს და ამ უკანასკნელს ისე იყენებდნენ, როგორც ბერძნები სხვა ცხიმეულს. ამასვე ადასტურებს მოგვიანებით სტრაბონიც: იგივეს იმეორებს და უმატებს, რომ მოსინიკები თევზის ქონს სულ სხვადასხვა დანიშნულებით ხმარობდნენ.

საფიქრებელია, რომ თევზის ქონს, როგორც საკვებ და უნიკალურ სამკურნალო თვისებების მატარებელი მასალის გამოყენების ისტორია კოლხეთში იღებდეს დასაბამს.

რომაელი ავტორი კლავდიუსი (395 წ. ქრ.შ-მდე) კავკასიისა და მისი ბუნებრივი რესურსების შესახებ წერდა: `მე კარგად ვიცნობ სხვადასხვა ხეების

წვენებსა და ყველა იმ მომაკვდინებელი მცენარეების მოქმედებას, რომლებიც იზრდებიან შხამიანი მცენარეებით უხვ კავკასიაში`.

საინტერესო ცნობებს გვაწვდის ფსევდოპლუტარქი განსაკუთრებული მცენარის `ხვალოს` შესახებ, რომელიც იზრდება ფაზისში, რომ `მას აგროვებენ გაზაფხულის დასაწყისში იმ დროს, როდესაც დღესასწაულობენ ჰეკატეს მისტერიას`. ხვალო სამკურნალო მცენარეა და მისი მკურნალობით სახელგანთქმული ჰეკატეს (მედეას მამიდა, სხვა ცნობებით _ და) მისტერიაში მოხსენიება თვით ამ დღესასწაულს მკურნალობისა და ჯანმრთელობის დაცვის ელფერს აძლევს, იგივე ავტორი სხვა ადგილას `ხვალოს` `ვაზსაც` უწოდებს, რაც ამ მცენარეს მეტ საკრალურობას ანიჭებს.

ქრისტეშობამდე I საუკუნის სახელგანთქმული ექიმი დიოსკურიდი თავის "Materia Medica"-ში ასეთ პასაჟს გვთავაზობს, როდესაც სამკურნალო მცენარეების გავრცელების არეალებს ეხება: `ერთია ძლიერი სასიამოვნო სუნის, რომელიც კოლხიდაში იზრდება, მეორე კი _ რომელსაც ზოგიერთნი გარეულ ნიორს უწოდებენ, ჰქვია `კოლხიკი`.

პლინიუსი (29-79 ქრ.შ.-დან) "**Historia Naturalis**"-ში წერს, რომ ყველაზე კარგი ფესვი ზამბახისა იზრდება კოლხეთში, მდინარე ფაზისთან` აგრეთვე: `კამას სახელი გაუთქვა გველმა, რადგან სჭამს კამას, აღიდგენს მხედველობის სიმახვილეს და ადვილად იძრობს ძველ კანს, აქედან დაასკვნეს, რომ მისი წვენი იკურნება მხედველობის სისუსტე. თვითონ წვენს აშრობენ მზეზე, მისგან თაფლის დამატებით აკეთებენ მალამოს. ყველაზე კარგ წვენს ღებულობენ იბერიაში...“

ასევე ბერძენი ავტორები აღწერენ `პრომეთეს ბალახს`, (ქართულ ფოლკლორში `ამირანბალახა`), რომელიც თითქოსდა პრომეთეს დანაწვეთი სისხლიდან ამოვიდა. ის მხოლოდ კავკასიაში ხარობს და საუკეთესო სამკურნალო თვისებების მატარებელია.

როგორც ჩანს, კოლხეთში თვით ჰიპოკრატეცაა ნამყოფი. იგი აღწერს ამ ქვეყანას, მის მდიდარ ფლორასა და ფაუნას. ადგილობრივი მოსახლეობის ფიზიონომიას, აქ გავრცელებულ დაავადებებს. მისი სტუმრობა კოლხეთში შემთხვევითი არ უნდა იყოს. ის მიზნობრივი ჩანს, - ადგილობრივი რესურსებისა და სამკურნალო ტრადიციების შესაწავლის მიზნით.